# ქალაქ თბილისის
# მუნიციპალიტეტის საკრებულო

## განკარგულება № 440

„27" ნოემბერი 2015 წ

ქ. თბილისი

**ქ. თბილისში, გლდანის რაიონში, გლდანის I მიკრორაიონისა და მუხიანის I მიკრორაიონს შორის არსებულ ტერიტორიაზე მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის შეთანხმების შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ე" ქვეპუნქტის, 73-ე მუხლის მე-2 პუნქტის „თ" ქვეპუნქტის, „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" 63-ე მუხლის, ქ. თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის №4-13 გადაწყვეტილებით დამტკიცებული „ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების" 25-ე, 26-ე მუხლების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭოს 2015 წლის 1.. აგვისტოს №.. ოქმის და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2015 წლის 27 ოქტომბრის №04/19458 წერილის (AR1314165) შესაბამისად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. შეთანხმებულ იქნეს ქ. თბილისში, გლდანის რაიონში, გლდანის I მიკრორაიონისა და მუხიანის I მიკრორაიონს შორის არსებულ ტერიტორიაზე მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტი, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ არქიტექტურის სამსახურის ელექტრონულ გვერდზე www.tas.ge რეგისტრირებული AR1314165 განაცხადის შესაბამისად (იხ. თანდართული უფლებრივი ზონირების რუკა).

2. აღნიშნული განკარგულების შესაბამისად, გასატარებელი ღონისძიებების განხორციელება დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ არქიტექტურის სამსახურს.

3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6).

საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ალიბეგაშვილი

# კორექტირებული გრგ-ს უფლებრივი ზონირების დეტალური სავალდებულო რუკა






კორექტირებული ნაწილის ქალაქთმშენებლობითი პარამეტრები

ტერიტორიის საერთო ფართი - 763.0 მ²

მოცემული ნაკვეთის განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის პარამეტრები:

განაშენიანების ფართი - 564.0 მ²
საპროექტო შენობების საერთო საანგარიშო ფართი - 3100.0 მ²
გამწვანების ფართი - 80.0 მ²

საერთო პარამეტრები იქნება.
კ1= 0.7
კ2= 4.0
კ3= 0.1

დასაშვები
სიმაღლე მოცემულ
მონაკვეთში
H=48,3 მ



განაშენიანების რეგულირების გეგმის საზღვრებში არსებული საპროექტო ტერიტორიის საერთო ფართი - 75 936 მ²
მათ შორის:

საპროექტო (კორექტირებული) ტერიტორიის ფართი - 763.082
პერსპექტიული განაშენიანების ტერიტორიის ფართი - 34 962.082

მთლიან ტერიტორიაზე საანგარიშო განაშენიანების ფართი -30 734.6 მ² (იგულისხმება გრგ-ს კორექტირების შედეგად მიღებული მონაცემები)

საერთო საანგარიშო ფართი მთლიან ტერიტორიაზე - 85 667.3 მ² (იგულისხმება გრგ-ს კორექტირების შედეგად მიღებული მონაცემები)

გამწვანებული ტერიტორიები 32 359.5 მ²
კ1=0.4
კ2=1.1
კ3=0.4

შეთანხმებულია

თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ს.ს.ი.პ. არქიტექტურის სამსახურის უფროსის მოადგილის შემსრულებელი

თ. ნემსაძე

თბილისში, გლდანის I მ/რ და მუხიანის I მ/რ შორის არსებული ტერიტორია

განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტი და ზონირების დეტალური სავალდებულო რუკა

საპროექტო ორგანიზაცია:

შპს "NBC group"
თბილისი, კოსტავას ქ.N47

| | |
|---|---|
| დირექტორი | ლ. ჯაჯანიძე |
| მთ.არქიტექტორი | ბ. კურცხალია |
| არქიტექტორი | ლ. ჯაჯანიძე |

გლდანის I მ/რ და მუხიანის I მ/რ შორის არსებული ტერიტორიის განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის უფლებრივი ზონირების რუკა

| სტადია | პოზიცია | ფურცლები |
|---|---|---|
| გრგ | 14 | 15 |

გლდანის I მ/რ და მუხიანის I მ/რ შორის არსებული ტერიტორიის განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტი

თბილისი 2015